№ 10

პარასკევი, 16 იანვარი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 8 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 9 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 10

პარასკევი, 16 იანვარი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**მელანია მიხეილის ასული, ნინო და ეკატერინე პავლეს ასულნი მაჭავარიანები, კნ. ანასტასია პავლეს ასული ვეზირიშვილისა და თავ. ირაკლი ნიკოლოზის ძე ვეზირიშვილი**
აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელის მეუღლისა, მეორენი მამისა და უკანასკნელი სიმამრის
პოლკოვნიკის

**პავლე დავითის ძის მაჭავარიანისას,**

სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებაზედ დასასწრებლად. მიცვალებულს შაბათს, 17 იანვარს, დილის 10 საათზედ გაასვენებენ თავისს სადგომიდგან (ალექსეევის ქუჩა, მანდენოვის სახლი № 17) წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში და დაკრძალულ იქმნება კუკიის სასაფლაოზედ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზედ.

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში
**მ. ბარკალაიას მიერ გამოცემული**
ახალი წიგნი
**სამღრთო გამოცანები**
(ზმაკიდურები ჩვენს მოლვაწეებზედ)
**თ. ნ. ტ. დადიანისა**
წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ჰღირს სამი შაური. ვინც ასს წიგნს ერთად იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, მანათზე აბაზი დაეთმობა.
(—220—2)

## ახალი ამბავი

*** გუშინ წინ, 14 იანვარს, ნინოობა დღეს, წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში ჩვეულებრივი წლიური აქტი იყო. ამ დღეს სასწავლებლის ეკკლესიაში წირვა გადაიხადა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმირმა არქიმანდრიტების ლეონიდის, სემინარიის რექტორის და სხვათა თანამწირველობით. წირვის შემდეგ პარაკლისი იქმნა გარდახდილი. 12 საათზედ სტუმრები, მოსწავლე-ქალების დედ-მამა, ნათესავები და მზრუნველნი შეიკრიბნენ სასწავლებლის დარბაზში, რომელიც სამაგალითოდ იყო მორთული სხვა-და-სხვა ყვავილებითა და ბაირაღებით. რამდენსამე საგალობელის შესრულებისა და ლექსების წაკითხვის შემდეგ სასწავლებლის ინსპექტორმა ბ-ნმა კრუპენიკოვმა წაიკითხა სასწავლებლის 1897 წლის ანგარიში. შემდეგ სასწავლებლის მოსწავლეებმა კიდევ წაიკითხეს ლექსები და იმღერეს სხვა და სხვა საგალობელი.

აქტს დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ, მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, ეგერმეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე, ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, ერევნის გუბერნატორი გრაფი ვ. ფ. ტიზენგაუზენი, ტფილისის ვიცე გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი და მრავალი სხვა. საჩუქრები მიიღეს შემდეგ ქართველთა: ბარბარე გრიგორიევისამ, თამარა მაჭარაშვილისამ, ნინო თუმანიშვილისამ, ევ. ერისთავისამ, ნინო ბათიაშვილისამ, მარიამ ჯორჯაძისამ, მარიამ ჯაფარიძისამ, ელენე მუსხელიშვილისამ, მარიამ როსტომაშვილისამ, თამარა მაყაშვილისამ, ალექსანდრა მენთეშაშვილისამ, სალომე სიდამონოვ-ერისთავისამ, თურქიამ გედევანიშვილისამ, ვერა გურგენიძისამ და ელენე თარხნიშვილისამ.

*** სამშაბათს, 14 იანვარს, ნინოობა დღეს, სიონის საკრებულო ტაძარში წირვა გარდაიხადა გორის ეპისკოპოსმა, ყოვლად უსამღვდელოესმა ალექსანდრემ. წირვას მრავალი ხალხი დაესწრო. ამ დღეს წმ. ნინოს ხატი, სადაც ასვენია ვაზის ჯვარი, ღია იყო და ხალხი მრავლად მიდიოდა სამთხვევად. წირვის დროს შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ.

*** თებერვლის პირველ რიცხვებში პეტერბურგში მიდის მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებული ბ-ნი მედვედევი. მედვედევი მონაწილეობას მიიღებს იმ კომისიის კრებაში, რომელმაც უნდა განიხილოს ამიერ-კავკასიაში გლეხთა მოწყობის საქმე.

*** ამ ჟამად ტფილისის პოლიცია საჭირო ცნობებსა ჰკრებს იმ ახალგაზდათა შესახებ, რომელნიც 1898 წ. იქმნებიან კენჭის ამოსაღებად გაწვეულნი და რომელნიც რაიმე შეღავათითა სარგებლობენ.

*** იმ კომისიამ, რომელიც დაარსებულია გორის მაზრაში გავრცელებულ საქონლის ჭირთან საბრძოლველად, წინადადება შეიტანა სადაც ჯერ არს, რომ სურამის საზოქაულოს კარანტინი უნდა აეხსნას, რადგან მთელს საზოქაულოში უკვე მოისპო საქონლის ჭირიო.

*** საგუბერნიო მმართველობაში ტფილისის რამდენსამე ხელოსანს საჩივარი შეუტანია ხელოსანთა მამასახლისების არჩევანის უკანონობაზედ. საჩივრებში, სხვათა შორის, აღნიშნულია ის, თუ რა ხერხსა ჰხმარობდა ხელოსანთა მოურავი ზოგიერთა ამომრჩეველთა საარჩევანო დარბაზიდგან გასაძევებლად.

*** ქალაქის გამგეობამ უკვე შეადგინა პროექტი ქალაქის გაზითა და ელექტრონით განათების შესახებ და ახლო მომავალში საბჭოს წარუდგენს განსახილველად. პროექტის აზრით, ქალაქის ქუჩე^ი, გოლოვინის პროსპექტისა, მიხეილის, ვოგზალის, ბაღის და პუშკინის ქუჩებისა, ვერის დაღმართისა, იარმუკისა და ერევნის

## ფელეტონი

### ელზას-ლოტარინგია

### III *)

მეურნეობა.—ახალის ტიპის მეურნე.—მომავალი მიხია.—ოჯახი.—სტუმრობა.—აქაური ქალი.

მიწის მფლობელობის მხრივ ლოტარენი საშუალო და დიდ მამულის პატრონებით არის დასახლებული, ელზასი-კი უფრო პატარებით. მაგრამ აქაც, როგორც მის მეზობელ ქვეყნებში, დიდი მემამულე თანდათან ფეხს იკიდებს. ამის გამო მიწის დამუშავებაც იმისთანა გზას დასდგომია, რომელიც ახალს დროსა და ვითარებას შეეფერება. საზოგადოდ ელზას-ლორენი ამ ჟამად მეურნეობის მხრივ იმ ხანაში შედის, რომლამდისაც აუცილებლივ მიდიან ის ქვეყნები, სადაც აღებ-მიცემობა, სწრაფი წარმოება, საქარხნო ცხოვრება, სწრაფივე მისვლა-მოსვლა და ქალაქების მჭიდროდ დასახლება განვითარებულა ან ვითარდება. რამდენადაც არის ეს ქვეყნები ამ მხრივ განვითარებული, ამის ამბავი წინა წერილში მოვიხსენიეთ.

ამ ახალგვარს ცხოვრებას როდიღა მოსწონებია ძველი დარბაისელი ელზასური მიწის დამუშავება, დღითი-დღე ანგრევს იმას და თავისავითვე სწრაფისა და მიმყოლისათვის ხელი გაუშლია. ძველი უანგარიშო გლეხი მეურნე გაულევიძებ-გამოუფხიზლებია და მოანგარიშე ვაჭარ-მეურნედ გადაქცევას უპირებს. გაუჩენია ამისთვისაც თავისი დიდი აღებ-მიცემობის წიგნი და უანგარიშოდ აღარას აკეთებინებს, აქაურმა ახალჯურის მეურნემ უკვე იცის, რაცა აქვს, რაც ექნება, რისთვისაცა და ვისთვისაც, სად წაიღებს, რამდენსა და რაც საჭიროა საკუთრივ მისთვის. იცის რა ეს, ყოველივე მისი ცოდნა და გამჭრიახობა იმადაა მიმართული, თუ რა ზომით, რა გზით, რაც შეიძლება ნაკლების ხარჯით, მეტი მოიგოს და მონაგები ერთი-ორად აბარტყოს. ამიტომ მუდამ ჟამს ფხიზლად უნდა იყოს: გაიგოს, სად რის ფასმა აიწია, სად რა დაეცა, ახალი რა შემოვიდა და სხ. თუ ასე არ მოიქცა, იცის, რომ წახდება. ამისთვის რაც-კი ამ გვარს სწრაფს მოქმედებაში ხელს არ უწყობს და საქმესაც უფერხებს, ყველაფერი დაუნგრევია და ძველ ნანგრევებზედ ახალის საგნის ხელ-შესაწყობი გარემოება აუშენებია. სასოფლო კუთვნილება, საერთოდ საქონლის ფასად ან ნახირად ყოლა და სხვა ამ გვარი ჩვეულება, რომელნიც დაქვეითებულს ქვეყნებში ჯერ კიდევ ხელ-უხლებელ წმიდათა-წმიდად ითვლება, აქ თითქმის მოსპობილია და ინდივიდიალურ წარმოებისათვის ფართო ადგილი დაუთმიათ. ყოველი მწარმოებელი დამოუკიდებელი შექმნილა. იცის, რაც შეადგენს მის საკუთრებას, როგორც და როცა ჰსურს, ისე მოიხმარს. სხვისთვის ცდა არ ესაჭიროება და არც ვინ დაუშლის. მოგება და წაგება იმისს კისერზეა. თუმცა ჯერ კიდევ შეხვდებით, მხოლოდ იშვიათად კი, რამდენისამე კაცის ცხვრის ან ბატის ფარის ყოლას ერთად. მიწის მოსავლით გასტუმრება რომელისამე ხარჯისა (მაგ., თვიურის, ან დღიურის მუშისა და სხ.) თითქმის სრულიად გადავარდნილა ხმარებიდგან და ყოველისფერი ფულით იზომება-იწონება.

ზემოდ ნათქვამის განსამარტავად გაგაცნობთ ჩემს მასპინძელს, როგორც წარმომადგენელს აქაურ ახალ მეურნისას, როგორც პროგრესიულ ნაწილს სოფლისას და მის გადამქნელს, რომლისთანათა რიცხვიც დღითი-დღე ჰმატულობს

სოფელში იგი ერთი შემძლებელთაგანია. მიღებულია ჰკვიან, გამოცდილ, ხერხიან, მშრომელ და ზნეობიან კაცად. ყველა პატივსა სცემს და ყოველგვარ სასოფლო საქმეში იგი წინ წამდგარია. მისის სახნავსათესის მიწის რაოდენობა 20 ჰექტარია, რომლიდგანაც პატარა ნაწილი ვენახად აქვს, ნაწილი სახნავად და უმეტესი წილი-კი ხელოვნურ სათიბებად. ამ ოციოდე ჰექტარის მიუხედავად თავისი მამული იმ გვარადა აქვს მოწყობილი, რომ ჩვენს ოცი სოფლის ბატონსაც-კი შეშურდება, თუ კი ესეც შეუძლიან. მაგრამ ეს ოცი ჰექტარი, მისდა საუბედუროდ, ძალიან დაქუცმაცებულია, რაც მეტის-მეტად ხელს უშლის სწრაფს წარმოებას. ბევრი დრო იკარგება ამაოდ იარაღების გადატან-გადმოტანაში ერთის მიწიდგან მეორე მიწაზედ და თვით ახალგვარ იარაღების შეძენისთვისაც ვერ არის ხელის შემწყობი, და სხ. დღეს ეს უხერხულობა ჩემს მასპინძელს სადარდელად გარდაჰქცევია. ამ ჟამად მისი ყურადღება იმასა აქვს მიქცეული, თუ როგორ და რა გზით მოახერხოს და ეს დაქუცმაცებული ნაჭრები ერთ ან რამდენსამე დიდ ნაჭრად აქციოს. ზოგი უკვე მოუხერხებია და ყოველს შემთხვევისთვის ფხიზლად არის. სა ინტერესო სანახავია ეს კაცი მაშინ, როცა იგი მიგიყვანთ იმ გაერთიანებულს ნაჭრის წინ და გატაცებულის კმაყოფილებით გიხსნით ერთიან ნაჭრის უმჯობესობას. მართლაც, ზემოთ მოხსენებული უხერხულობა მით უფროა მისთვის სამწუხარო, რომ მას უკვე შეუძენია რამდენიმე ახალის სისტემის იარაღი და ჰსურს შეიძინოს კიდევ სხვანი, რომელთა ხმარებაც უფრო ხერხიანი და სასარგებლოა კერძო მემამულისათვის ერთს, გაერთებულს მიწაზედ, ვიდრე დაქუცმაცებულს, ერთი-ერთმანეთისაგან დაშორებულს ნაჭრებში, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, ამ იარაღების გადატან-გადმოტანას, იმათ რამდენჯერმე დაშლა-გამართვას ბევრი დრო უნდება. ამავე დროს თავისს სურვილის ასრულების დიდი იმედი აქვს და არც საკვირველია, რადგან იმის ეკონომიას ეხლანდელ ცხოვრების ზურგ-ქარი ძალზედ აწვება. ნაპერწკალი, რომელიც იმას მოსდებია თან-და-თან ჩაღდება, ძლიერდება, ქარის ქროლვა-კი ხელს უწყობს.

მოვიყვან ერთს მაგალითს იმისას, თუ რა ფხიზლად არის იგი ყველა გარემოებისათვის და რა გვარადაც ეწყობა ხოლმე გარემოებისა დაგვარად. წრევანდელი წელი ვერ იყო გულ-უხვი ელზასელებისთვის. ორჯერად მოსულ-ატეხილმა სეტყვა-ქარიშხალმა მილეწ-მოლეწა და მიწასთან გაასწორა მთლად ჯერ ისევ დაუმწიფებელი მიწის მოსავალი. ივნისი იანვრად გეჩვენებოდათ: ხე და ბუჩქი უფოთლო და გახროკილი იყო, არე-მარე კი მთლად თეთრად გადალესილი. ყოველისფერი დაკარგული იყო: ვაზის და ყანის მოსავლის იმედი აღარავისა ჰქონდა. მარტო კართოფილისა და ჭარხლის იმედი-ღა შერჩენოდათ. ამგვარმა თავს დაცემულმა ზარალმა, მართალია, ყველანი დაალონა, მაგრამ სასოწარკვეთილებას როდი მიეცნენ, ღონე მოიკრიბეს და მთლად თავიანთი გამჭრიახობა იმისათვის უნდა მოეხმარათ, რომ მოულოდნელი ზარალი, თუ მთლად არა, ცოტაოდნად მაინც აღედგინათ, თუნდა რომ დაზღვეულიც ჰქონოდათ. ჩემს მასპინძელს ამ გაჭირვებულს შემთხვევაში წინანდელი გამოცდილება ძალიან დაეხმარა. მის აღებ-მიცემობის წიგნმა ჭეშმარიტი საბუთები მისცა, რომ საქონლის სუქება ჵ ხორცად ყიდვა ძალიან სარგებლიანი საქმეაო. გადნა თუ არა სეტყვა, მის გამოცდილ თვალისთვის ძნელი არ იყო დასეტყვილ მოსავლის ვარგის-უვარგისობის შეტყობა. გამოუსადეგარი მან სწრა-

*) დასასრული, იხ. „ივერია“ №№ 3 და 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოედნის გარდა, გაზით უნდა განათდეს, ხოლო ზემოდ დასახელებული ადგილები—ელექტრონით. ქალაქის განათების საქმის წარმოება თვით ქალაქსა აქვს აზრად. ამ საქმეს ყოველ წლივ, გამგეობის ანგარიშით, 65,000 მან. დასჭირდება.

*** შარშან, ბაღ-ბოსტნეულობის გამოფენაზედ, სოხუმიდგან გამოჰგზავნეს ესრედ წოდებული იაპონიის ხურმა, რომელიც თითო 15—20 კაპეიკად იყიდებოდა. დეკემბერში ეს ხურმა გაუგზავნეს პეტერბურგში ბ-ნ შმერლინგს, რომელმაც იგი, „ბაღ-ბოსტნეულობის საზოგადოებას“ წარუდგინა. საზოგადოებამ ძალიან მოიწონა თურმე.

*** 13 იანვარს, ყარსის რკინის გზაზედ უბედურება დატრიალდა. ამ დღეს ტფილისიდგან ყარსის გზაზედ გაჰგზავნეს მუშათა მატარებელი, რომელიც ოც-და-ხუთი ვაგონისაგან შესდგებოდა. როდესაც მატარებელი უკან დაბრუნდა და ყუმისის ტბას, ტფილისიდგან 35 ვერსის სიშორეზედ, მოუახლოვდა, პირველი ვაგონი (ორთქლ-მავალი უკანიდგან ჰქონდა მობმული) ლიანდაგს გადასცდა, პირველს ვაგონს სხვები მიჰყვა და მთელი გროვა დაცვა მილეწილ-მოლეწილ ვაგონებისა. რადგანაც მატარებელი ჩქარა მოდიოდა, ეს ამბავი ერთ წუთს მოხდა. ნამტვრევებიდგან ამოიღეს ერთის გასრესილის მუშის გვამი და ხუთი საშინლად დაშავებული კაცი, რომელნიც იმავე საღამოს ტფილისის საავადმყოფოში წაიყვანეს. ერთი მათგანი მაშინვე გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენნი, ექიმების სიტყვით, საშიშარს მდგომარეობაში არიანო. ვაგონების ლიანდაგიდგან გადავარდნის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ლიანდაგი გაწმენდილი არა ყოფილა და ქვები და მიწები ყრილა ზედ. ამ ადგილას არც დარაჯებია თურმე. ვაგონები ყველა დამტვრეულია და ორთქლ-მავალიც ძალიან დაშავებულა.

*** მთავრობამ ნება დართო, რომ გაზ. „მშაკი“ ყოველ დღე გამოვიდეს.

*** სასჯულო საქმეთა მინისტრს წინადადება შეუტანია სახელმწიფო საბჭოში, რომ კარგი იქმნება ამიერ-კავკასიის მოსამართლეთა უცვლელობას რაიმე საზღვარი დაედოსო. („სვეტი“).

*** ჩვენის გაზეთის მკითხველებს ეცოდინებათ, რომ იმ ბრალდებულთა საქმის წარმოება, რომელთაც თავ. ნ. დიასამიძის მკვლელობა ჰბრალდებათ, ნაფიცმა ვექილმა ყარაბეგოვმა იკისრა. ბ-ნ ყარაბეგოვის მიერ შეტანილს სააპელაციო საჩივარში, სხვათა შორის, ნათქვამია, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ იმერლიშვილი გარდა, არც ერთს ჩემს რწმუნებულის არც გამოძიების დროს და არც სასამართლოს წინაშე არ უღიარებიათ, რომ ჩვენც ვერიენით თ. დიასამიძის მოკვლის საქმეშიო.

*** გაზ. „კავკასი“ სწერს, რომ განზრახვა აქვთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება 25 იანვრისათვის მოიწვიონო.

*** თავ. ზ. გ. ერისთავმა გაზ. „ახ. მიმ.“ რედაქციას გამოუგზავნა წერილი, რომელშიაც ურჩევს, პოლიტეხნიკუმს, თუ კი იგი დაარსებული იქმნება ტფილისში, დაარქვან „ირაკლის სახელობის პოლიტეხნიკუმი“ „მეფე ირაკლი II“ სახსოვრად, რომელმაც საქართველო რუსეთს გადასცა და ამით დაიცვა ქრისტიანობა და დაიფარა ქვეყანა მტერთაგან.“ თავადი ზ. გ. ერისთავი ურჩევს ყველას ხელი შეუწყონ პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმეს და თავისის მხრივ სწირავს 1,000 მან.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ გუბის-წყალსა და მაჯარკაზედ, ძველი ხიდების ნაცვლად, ახლად იქმნას გადებული. ხიდების გადებას, როგორც გამოანგარიშებულია, 10 ათასი მან. დასჭირდება.

*** ახალქალაქიდგან სწერენ „მშაკს“, რომ აქ საქველ-მოქმედო საზოგადოების მიერ დაარსებულ სახელოსნო სასწავლებელში ფეიქრობს ერთი მოზდილი დედაკაცი და 10 მოსწავლე ქალი სწავლობსო.

*** გაზ. „კავკასს“ სწერენ დუშეთის მაზრის სოფელ გიგაურიდგან, რომ 6 იანვარს ყმაწვილმა მიხეილ მახარაშვილმა უცაბედად სასიკვდილოდ დასჭრა თოფით მოსამსახურე 16 წლის არსენა თურქიაშვილი. საწყალ თურქიაშვილს ორის საათის შემდეგ სული დაულევია.

*** გაზ. Тор. Пр. Газ.“ სიტყვით რკინის გზათა დეპარტამენტმა განიხილა შორაპნის მაზრის მემამულის თავ. წერეთლის პროექტი ახალის ლიანდაგების გაყვანის შესახებ იმ ადგილებში, სადაც შავი ქვა არის. პროექტის ძალით ჭიათურის შტოდგან სამი ლიანდაგი უნდა იქმნას გაყვანილი: ერთი — სალიეტიდგან სოფ. შუკრუტამდე 12 ვერსის მანძილზედ, მეორე—ჭიათურიდგან სოფ. ძირკვალზედ 7 ვერ. მანძ. და მესამეც—ჭიათურიდგანვე სოფ. ჭერევამდე 31 ვერ. მანძ. ამ რიგად სულ 50 ვერსი გამოდის. ამ ლიანდაგების გაყვანას კისრულობს თვით თავ. წერეთელი იმ პირობებით, რა პირობებითაც შარშან სოფ. კოპანდიდიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზამდე ლიანდაგის გაყვანის ნება მიეცა კერძო კაცსა. კომისიამ, რომელმაც ეს პროექტი განიხილა, გაზეთის სიტყვით, იმისს განხორციელებას დაეთანხმა, მაგრამ რადგან პროექტის განხილვას არ დაესწრო ამიერ-კავკასიის რკინის გზის წარმომადგენელი, თავადის წერეთლის პროექტის საქმის უკანასკნელად გადაწყვეტა შემდეგ კრებისთვის გადაიდოო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, რუსეთში მოვლენ ამერიკელი მსწავლულნი, რომელთაც აზრადა აქვთ გაიცნონ კავკასია და ყირიმი.

*** გაზ. „Нов. Вр.“ სწერს, რომ უმაღლესად დაარსებული კომისია მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თავმჯდომარეობით ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხთა მიწათ-მფლობელობის გაწეს-რიგების შესახებ შემუშავებულის კანონ-პროექტის განხილვას ამ დღეებში შეუდგებაო.

*** ს. ჯურუყვეთი (გურია). კვირას, 11 იანვარს, ჩვენის სახელოვანის მეფის ერეკლე II-რის გარდაცვალების ასის წლის შესრულების დღეს, ჯურუყვეთის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი მღვდ. ე. ჩხაიძისაგან განსვენებულის მეფის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. პანაშვიდის დაწყების წინად მღვდელმა ადვილ გასაგების ენით გააცნო ხალხს განსვენებულის გმირული ცხოვრება და მისი მოღვაწეობა სამშობლოს წინაშე. ხალხი დიდის ყურადღებით ისმენდა მღვდლის სიტყვას და ბევრმა დააფრქვია ცრემლები. წირვის შემდეგ სამრევლო სკოლასთან დაარსებულ წიგნთ-საცავში, რომელიც ეკკლესიის გვერდით არის, წაკითხულ იქმნა ბარათაშვილის პოემა— „ბედი ქართლისა“, „ასპინძის ომი“ და სხვანი. საზოგადოებამ დიდი მადლობა გამოუცხადა მღვდელს.

*** სოფ. თხილთაწყარო, (შორაპნის მაზრა). 11 იანვარს მღვდელმა მ. ბუაჩიძემ მეფე ერეკლეს სულის მოსახსენებლად გარდაიხადა წირვა და პანაშვიდი. მღვდელმა წირვის დასასრულს სიტყვა სთქვა, რომლითაც მეფის ღვაწლი და დიდება განუმარტა დამსწრე საზოგადოებას. ხალხი ბლომად დაესწრო წირვასა და პანაშვიდს და ყველა ნასიამოვნები დარჩა.

*** მირზაანი, (სიღნაღის მაზრა). ამ დღეებში ერთს ოჯახიშვილს დაკეტილი სახლი გაუტეხეს და გაიტანეს მრავალი ნივთები. სახლის გატეხის მეორე დღესვე მაჩხაანის ნაწილის ბოქაულმა თ. ნ. ერისთავმა აღმოაჩინა ქურდებიცა და დანაკარგიც. სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ ბოქაული თ. ნ. დ. ერისთავი დიდის მადლობის ღირსია თავის გამჭრიახე და ხალხის სასიკეთო სამსახურისათვის. იგი ყოველთვის ძმურად არიგებს ხალხს გონივრულის სიტყვებით და დიდადაც სცდილობს ხალხის კეთილ-დღეობისათვის. ეჭვს გარეშეა, რომ მისი

---

ფად გადაათიბინა (სათიბ მანქანით საქმე არ დაგვიანდებოდა), სწრაფადვე გადახნა (ორპირი გუთანი საქმეს ერთიორად აჩქარებდა) და საქონლისათვის სიმინდი და ოსპი ჩათესა. იყიდა გამხდარი საქონელი და ვიდრე ახალ-ნათესი მოესწრებოდა, ხელოვნურ სათიბის ბალახ-თივით დაუწყო სუქება. გასუქებულ საქონლის გაყიდვისთვის თითონ არც კი უნდებოდა იმათ ბაზარზედ გაყვანა, თვით ყასბები მოსდიოდნენ სახლში. „ეს ძალიან მოსაგები და მსუქანი ლოკმა ყოფილაო, მეუბნებოდა ჩემი მასპინძელი: იგი მეტის ყურადღების ღირსია, ვიდრე მე აქამდის მეგონა. კვლავისთვის ვეცდები უფრო უკეთ და საფუძვლიანად მოვაწყო ეს საქმეო“.

საზოგადოდ, მიწის შემუშავებას ელზასში მხოლოდ ამ მოკლე ხანს უქცევია პირი ინტენსივურ კულტურისაკენ. ასეთს კულტურას შეხვდებით მხოლოდ ქალაქების ახლო მდებარე და ან ცოტა მოშორებულს საშუალო მემამულეების ადგილ-მამულებში. არც საკვირველია ეს გარემოება, რადგან ინტესივურს კულტურას სულ სხვანაირი გარემოება სჭირია და ხელს უშლის მამულის სიპატარავე, თანხის უქონლობა, დიდ სავაჭრო და სამრეწველო შუაგულ ადგილების უქონლობა და სხვა მრავალი იმ გვარი გარემოება, რომელიც ელზასში ბევრად თუ ცოტად ჯერ-ჯერობით კიდევ არსებობს.

რაც შეეხება ჩემს მასპინძელს, ამასაც უგემნია ინტენსივურ სისტემის სიკეთე და სარგებლობა. მხოლოდ, როგორც მარტო პრაქტიკულად გამოცდილი მეურნე, ერთბაშად როდი ჩასჭიდებია, ცოტა არ იყოს ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უცქერის, ვიდრე მტკიცედ არ დარწმუნდება მის უტყუარ სარგებლობას იმ გარემოებათა შორის, რა გარემოებაშიაც იგი იმყოფება, სწონავს, ჰზომავს, ანგარიშის წიგნში მალ-მალე იყურება. როგორც გლეხი, თავისს მამა-პაპურს წეს-რიგს ძნელად ჰღალატობს, ახალს უნდობლად, ძნელად ითვისებს. მაგრამ განსხვავება შემოსავლისა და გასავლის ანგარიშისა ტკბილს ღიმილსა ჰგვრის. ამ ღიმილზედ ეტყობა ძველის, მამა-პაპურ წეს-რიგის მოღალატობა. სჩანს, მოგება ტკბილი ყოფილა ძველს წესსა და რიგზედ. ეს რამდენიმე წელიწადია უკვე ჩვეულებაში შეუტანია ქიმიურ სასუქის ხმარებაც. იმისს სარგებლობას საკუთარის გამოცდილებით დარწმუნებულა. თუ გაუჭირდა საქმე, სამეურნეო საზოგადოებას ეკითხება, რომლის წევრადაც თითონაც შესდგება. საზოგადოებაა შუამავალი იმისა და სხვა მრეწველთა შორის. იგი უბარებს და უკვეთავს თავისს წევრებს საჭირო იარაღს, სათესლეს, სანაშენო საქონელს და სხ. კომიტეტი საზოგადოების სახელით ჰმოქმედებს და მხოლოდ დრო გამოშვებით ანგარიშს აძლევს თავისს წევრებს.

შევიდეთ ახლა ჩემის მასპინძლის კარ-მიდამოში. ფართო ეზოა, გარშემო ორ-სართულიანი შენობები აკრავს: ჯერ საცხოვრებელი სახლია ქუჩის მხრივ, მერე მოსდევს ზემო სართულში: სათივე, საძნე; ქვემოთაში: ბოსელ-გომური, მარანი და სხვ. ეზო დიდის ალაყაფის კარებით იკეტება. ყველგან წესი და რიგია. მაშინვე შეატყობთ, რომ აქ გერმანელის ხელი ტრიალებს.

საცხოვრებელი სახლი შესდგება 6 ოთახისაგან: ქვემოდ სასტუმროა, სასადილო და სამზარეულო; ზემოდ დასაძინებელი ოთახები. შევიხედოთ შიგნით.

მოწყობილება ოთახებისა მეტად უბრალოა, სადაა, მაგრამ იმათი სისუფთავე და სიფაქიზე ამ სისადავესაც მშვენებასა სდებს. სასტუმროს მოწყობილობას შეადგენს: ერთი მაგიდა, რომელზედაც ყოველ დღე ახალთ-ახალი გაზეთი ძევს, კედლის პირად, ოთახის გარშემო უბრალო ხის სკამები, ფანჯარებისა და თახჩების წინ სუფთა ფარდები (შუა ფარდა თუ ასწიეთ, წიგნების თახჩასაც წააწყდებით), ზედ ფანჯრებზედ უსათუოდ ყვავილები. ასეთივე მორთულობაა სასადილო ოთახშიაც. ყველგან იგივე სიფაქიზე და სისუფთავეა.

ამ გვარივე სისადავე სისუფთავესა და სიფაქიზესთან შეერთებული დამხვდა ყველგან, რომელ ოჯახშიაც კი მომიხდა შესვლა. მიპატიჟება მეტად უბრალოდ იციან: „მობძანდით ოთახშიო“. და მიგიძღვით წინ მასპინძელი. არც ჩვენებური უხეიროდ დაფაცურება, ვითომ-და გახარება, ყვირილი, ძაღლების ჭერა, მიმალვ-მომალვა და სხ. შედიხართ სასტუმროში. მასპინძელი პატივისსაცემლად სასმელს (ღვინო) მოგართმევთ აუხირებლად, თავ-მოუბეზრებლად. მიირთვით... დაჰლევთ, კარგია, არა-და—ძალას არავინ დაგატანთ და თავზედ არავინ დაგასხამთ. ამ გვარი მასპინძლობა ქართველს კაცს ცოტა არ იყოს ეხამუშება. სტუმრად დღეობით, გინდ საათობით უსაქმოდ დარჩენა აქ ვერ წარმოუდგენიათ. თუ დარჩით, მასპინძელი გვერდზედ კი არ მოგიჯდებათ თქვენს გასართობად! ის თავისს ჩვეულებრივს საქმეს არას დროს არ უღალატებს. თქვენ, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით. ან შინ უნდა დარჩეთ მარტოდ, ან საქმეზედ უნდა გაჰყვეთ, თუ სახლში მოწყენით ყოფნა არ გინდათ.

დიასახლისი ოთახში არ იმყოფება. გაიღო კარი და ისიც გამოჩნდა. გაიხადა ქოშები კარის წინ და აწეულ სახელოების სწორებით შემოდის. ეტყობა, საქმეზედ ყოფილა და პირდაპირ იქიდგან მოდის. უცხო-ქვეყნელი კაცი მოსულა, შეუტყვია ეს ამბავი და მაშ არა ჰნახოს! არც მორთვა, არც მოლამაზება არ ეტყობა ჩვენ ქალებსავით. სად არის ამისთვის დრო, ან სტუმარი ხომ არ მოიცდის იმდენს ხანს. მაგრამ ან რა საჭიროა, მას სულ მუდამ სუფთად და რიგზედ აცვია, და თუ საქმეზედ იყო, ეგ რა დასაძრახისია.

სისუფთავ-სიფაქიზის მხრივ ელზასელს ქალს არა ეძრახვის-რა. ეზოვა, იმის ძარღვებში გერმანული სისხლი სდგას. იმათის სამზარეულოს ნახვა სასიამოვნოდ დარჩება უცხოქვეყნელს კაცს, მეტადრე ქართველს. ჩვენს ქალებს ხომ სიზმარშიაც არ მოელანდებათ ასეთი სისუფთავე! ჭურჭლიდგან დაწყებილი იატაკამდის სულ დაწკრიალებულია როგორც საჩენი, ისე უჩინარი ალაგები; როცა სწმენდს, როდი იტყვის ჩვენებსავით: „აქ ვინ დაინახავსო“, და ჩვენსავით მხოლოდ საჩენ ადგილებს როდი ასუფთავებს. აქაური ქალი უსაქმოდ ავად არის. ავად გახდენა და უსაქმოდ ყოფნა ერთსა და იმავესა ჰნიშნავს. თუ საქმეს არ აკეთებს, უსათუოდ კითხულობს. არა აქვთ-რა წასაკითხი, მე ვიცი. მაგალითად, ჩემს მასპინძლის ოჯახს გამოწერილი აქვს სამი გაზეთი. ერთი (კვირეული) ქალიშვილისთვის, მამისა და ვაჟიშვილისთვის—სამეურნეო საკვირაო და ერთიც ყოველ-დღიური (სტრასბურგიდგან) ყველასათვის. ძალიან დაცემული ოჯახი უნდა იყოს, რომ ეს ყოველ დღიური გაზეთი მაინც არა ჰქონდეს გამოწერილი. იმათს გამოწერას გაზეთის სიიაფეც ხელს უწყობს —თვეში 65 ფვენიგი (33 კაპეიკი). ჰღირს. ამ სიიაფის მიზეზი, რასაკვირველია, ხელის-მომწერელთა სიმრავლეა. ამიტომ ამათ აღარა გამოეპარებათ, რაც ჰხდება იმათს გარშემო, ან შორეულს ქვეყნებში. ამ მხრივ სწორედ გასაოცარნი არიან. ერთხელ მკითხა, თქვენშიაც ასეა გახშირებული გაზეთებიო? მე მწარედ ჩამეცინა და, რასაკვირველია, სიმართლე ვუთხარი.

ნ. ა—ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუძინებელი ცდა-ზრუნვა სამახსოვრო კვალს დაამჩნევს ქიზიყის ხალხის ყოფა-ცხოვრებას.

*** ს. სართიჭალა, (ტფილისის მაზრა). კვირას, 11 იანვარს, სართიჭალის წმ. ლაზარეს ეკკლესიაში, წირვის შემდეგ, გარდახდილი იქმნა ადგილობრივ მღვდლის მამა კ. ელიზბაროვისაგან პანაშვიდი განსვენებულის მეფე ერეკლეს გარდაცვალებიდგან ასის წლის შესრულებისა გამო. პანაშვიდის დროს გალობდნენ ადგილობრივ სამრევლო სკოლის მოსწავლეები; დიდ-ძალი ხალხი დაესწრო პანაშვიდს. ხალხმა დიდის გულ-მხურვალებით მოისმინა პანაშვიდი, რომელიც იმისთანა სასოებით იყო გარდახდილი, რომ ზოგს ცრემლებიც-კი მოერია. პანაშვიდის შემდეგ ხალხმა მოისურვა გაეგოთ დაწვრილებით მეფე ერეკლეს ისტორია და ადგილობრივი მღვდელი მამა კ. ელიზბაროვი თითქმის ერთი საათი ესაუბრებოდა ამ საგნის შესახებ ხალხს. როგორც ქართველები, აგრეთვე რუსებიც, აქაური მოხელეობა, დიდად კმაყოფილნი დარჩნენ და მადლობა გარდაუხადეს მღვდელს.

*** დუშეთი. 11 იანვარს ჩვენის დაუვიწყარის მეფე-გმირის ერეკლე მეორეს სულის მოსახსენებლად, მისის გარდაცვალების შემდეგ ასის წლის შესრულების გამო, გარდახდილ იქმნა დუშეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში პანაშვიდი, რომელსაც საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო.

*** სოფ. ამბროლაური. ხმა დადის, ვითომ მთავრობას განზრახვა აქვს ამ სოფელში სასამართლოს განყოფილება დააარსოს. რამდენად მართალია ეს ხმა, არ ვიცით, მხოლოდ ეს-კია, რომ სოფელი ამბროლაური ამგვარ დაწესებულებისათვის უვარგისი ადგილია, რადგან ჯერ ერთი, ეს სოფელი ქვემო რაჭის მივარდნილს ადგილას არის გაშენებული, რომლიდგანაც, ორ პატარა სოფლის საზოგადოების გარდა, სხვა სოფლები 25—35 ვერსის მანძილით არის დაშორებული და, მეორე, ამბროლაურს გვერდით ჩამოუდის პატარა მდინარე, რომელიც, პატარა წვიმა მოვა თუ არა, ისეთ ნაირად მოიგიჟიანებს ხოლმე თავს, რომ არამც თუ ქვეით, ცხენიანს კაცსაც უჭირს შიგ გასვლა.

*** ხაშური. 13 იანვარს, ღამის 10 საათზედ, როდესაც საქონლის მატარებელი № 78 სადგურში შედიოდა, ობერ-კონდუქტორი ალექსანდრე გაბრიელისძე ივანოვი, 56 წლისა, ვაგონიდგან გადმოვარდა, მატარებელს ქვეშ მოჰყვა და იქვე სული დალია.

*** 14 იანვარს მე-3 მსროლელთა რაზმის უფროსმა სიგიზმუნდ ვოლსკიმ გამოუცხადა პოლიციას, რომ სახლიდგან ვიღაც ბოროტ განმზრახველმა 500 მან. სხვა-და-სხვა ნივთები მომპარაო. ეჭვი განაცხადა ნად. სოვ. მიხაილოვის მოსამსახურეზედ, რომელიც მაშინვე შეპყრობილ იქმნა და დანარჩენს პოლიცია დაეძებს.

*** გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ იანვრის № ჟურნალ ჯეჯილისა შემდეგის შინაარსით: შობის ყვავილები—ან. წ—სა; მერცხალი, ლექსი—შ. მღვიმელისა, საახალწლო სურათი—ეკ. გაბაშვილისა; ობობა—თ. რაზიკაშვილისა; შეშის მჭრელნი და მუხა (ეზოპიდამ) —ბ. დავითაშვილისა; წმიდა ნინო—გ. წყალტუბელისა; შობის ხე—თ. კანდელაკისა; საკვირველებანი ბუნებისა — ლადო აღნიაშვილისა; უქნარა (იგავი)-ალ. მ.—შვილისა და წვრილმანი...

*** 11 იანვარს, საღამოს 8 საათზედ, მიხეილის ქუჩაზედ ნაუმენკოს სახლებიდგან ცხენის რკინის გზის კონდუქტორად ნამყოფმა ვასილი პოტაშევმა ჩემოდანი მოიპარა. ჩემოდანში 832 მან. სხვა-და-სხვა ნივთები, საბუთის ქაღალდები და ფული იყო. დამნაშავე ქ. ბათუმში შეიპყრეს და სამართალში იქმნა მიცემული.

*** 14 იანვარს ღამით პატარა ორბელიანის ქუჩაზედ ამირიძის სახლებში უეცრად გარდაიცვალა კოსტრომის გუბერნიისა და მაზრის მცხოვრებელი ტასია რიბკინი, 22 წლისა. მიცვალებულის გვამი მიხეილის საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

## წერილი თელავიდგან

თელავი ამ ერთს კვირაში სამის შესაქცევ საღამოთი გაუმასპინძლდა თავისს მცხოვრებლებს და მათს მეზობლებს. 28 დეკემბერს სამეჯლიშო საღამო იყო თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელის სასარგებლოდ. საღამომ სასწავლებელს შესძინა 400 მანეთამდის. ეს გარემოება დიდად საყურადღებოა, რადგანაც ამისთანა საღამოები (ბალი) ძვირად იძლევა ხოლმე ამისთანა შემოსავალს. ქება, დიდება და მადლობა საღამოს გამწესრიგებელთა და მოთაოსნეთა! სასწავლებლის გამგეობის თავმჯდომარე ქ-ნი სოფიო სტანისლავის ასული განსევიჩისა ყოველის ღონისძიებით სცდილობს დაიხსნას იგი გაჭირებისაგან და ამ საქმეში მხარს უჭერენ მისნი თანამოზიარენი.

4 იანვარს თელავის კლუბის დარბაზში გამართული იყო წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით. წარმოადგინეს „ბაიყუში“ და რუსულად „დათვი“. ამ წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ აქაური სცენის მოყვარე ქალები ერთი მეორეს აჭარბებენ მსახიობის ნიჭით. პირველად ვნახე სცენაზედ და, მგონია, სულ მეორედ გამოვიდა სცენაზედ ქ-ნი ე. ვახვახოვისა, მაგრამ ამისდა მიუხედავად ნიჭმა თავი იჩინა, მხოლოდ სამწუხარო ის იყო, რომ ამისთანა ნიჭს ისეთი ვიწრო სარბიელი ჰქონდა, როგორიც „ბაიყუში“ თავქარიანის ახალგაზდა ცოლის როლია. აგრეთვე საუცხოვოდ შეასრულეს თავისი როლები ქ-ნთ მ. ვახვახოვისამ და ო. აკკერმანისამ. ქალებთან ერთს საფეხურზედ ვერ დავაყენებთ სცენის მოყვარე კაცებს, რომელთაც თუმცა ნიჭი შესწევდათ, მაგრამ ასრულება-კი შესაფერი არ იყო. დაწყობით ყველამ კარგად დაიწყო, განსაკუთრებით ბ-ნმა ლ. ვახვახოვმა და დათავებით-კი უხეიროდ დაათავა. არ შევეხებით თვით საქველმოქმედო საგანს, რადგანაც იგი ყველასათვის სანუკარი მისაბაძავია, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან სცენის მოყვარენი. ხოლო არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ პიესების ამომრჩევლებს ის, რომ პროვინციაში უფრო საჭიროა პიესებით გონება-ზნეობრივის საზრდოს მიწოდება, ვიდრე დიდს ქალაქებში, სადაც თუ დღეს არა, ხვალ მაინც დააკმაყოფილებს ამ მხრივ თეატრის მაყურებელს.

6 იანვარს კლუბის დარბაზში გამართული იყო საბავშვო საღამო—შობის ხე. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამისთანა საღამოების გამართვისაგან ხელი რომ აიღონ, დიდს მადლს უზამენ იმავ ბავშვებს. საღამოს 90 ბავშვი დაესწრო და ერთი ამდენი, თუ არ მეტი, უფროსნი. ამდენს უფროსებში, წარმოიდგინეთ, მარტო ორი ადამიანი გამოჩნდა, რომელთაც თავისთავად იგრძნეს, რომ ბავშვებს გართობა ეჭირვებათ. მე არ ვიცი, რას ფიქრობდნენ მეთაურნი! ნუ თუ ის ეგონათ, რომ პატარები თავისდათავად გაერთობიანო. რომ არ მოსულიყვნენ შემთხვევით ბ-ნი გ. მეჟევიძე და ბ-ნი შ. ბახუტოვი, რომელთაც რამდენისამე წუთით შეიქციეს ბავშვები, ზოგს დაეძინებოდა იქვე და ზოგიც ტირილით გასწევდა შინისაკენ! ვინც ბავშვების საღამოების გამართვას თაოსნობს, ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მათთვის ორი რამ ერთნაირად საჭიროა: ერთი —სუფთა ჰაერი და მეორე —გართობა. ვისაც ამისი მოხერხება არ შეუძლიან, სჯობს ბავშვები თავისს ადგილას დასტოვოს. თუ არა და, 90 ბალღი შეუყრიათ ერთს ოთახში, ანთებენ თოფის წამლისაგან გაკეთებულს რაღაც სანათურებს, უხშავენ სუნთქვას, იწვევენ სულის შეგუბებით 200 ადამიანის საერთო ხველას, ზოგს იქავე უჰაერობით გული უწუხდება და ამას ეძახიან ბავშვებისათვის გამართულს საღამოს!! არას ვიტყვი იმის შესახებ, რომ პატივცემული კლუბი იმ ფულებიდგან, რომელსაც ახდევინებს ბავშვებს, მოგებას ირჩენს. არას ვიტყვი, რადგანაც ამის შესახებ თქმა არა კმარა და სხვა-კი ჩვენ არ გვეხერხება. ბევრად ემჯობინებოდა, რომ ისინი, ვინც თაოსნობს ყოველ წლივ „შობის ხის“ გამართვას, შეუერთდებოდნენ იმათ, რომელთაც დიდი ხანია სურვილი აქვთ გამართონ საბავშვო მოედნები. ბავშვებისათვის იგი მუდმივი გასართობი შეიქმნებოდა, ისა სჯობდა და არა წელიწადში ერთხელ სულისა და გულის შემხუთავი გოგირდ-გვარჯილის ბოლი.

ვისურვოთ, რომ თელავის თვითმართველობის უქნარობის მიუხედავად ამ დიდად საინტერესო საქმისათვის კერძო კაცთ გამოედოთ თავი საბავშო მოედნების გასამართავად და დაეხსნათ მოზარდი თაობა იმ გაჭირვებულ მდგომარეობისაგან, რომლის აღწერა არ მინდა, რადგანაც ვერიდები ბატების გაჯავრებას.

ნადიკვრელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთს „კავკაზში“ კიდევ მეორე წერილია დაბეჭდილი იმის შესახებ, რომ მეფე ერეკლე მეორის სულის მოსახსენებლად გარდახდილ პანაშვიდს არც ერთი წარმომადგენელი არ დასწრებია ქალაქის თვით-მმართველობისაგან.

ავტორი სწერს:

მოვაგონებთ იმ უმადურს ხალხს, რომელიც ესლა განაგებს ქალაქს და მისს საქმეებს, რომ ამ ქალაქისათვის განსვენებული მეფე 54 წლის განმავლობაში სისხლს ანთხევდა და ამავე მეფემ მოუპოვა მას მშვიდობიანობა და განვითარება. არ გავგიგონია აგრეთვე, რომ სომხთა ერთს ეკკლესიაში მაინც გარდახდილიყოს პანაშვიდი იმ მეფის სულის მოსახსენებლად, რომელიც ჰფარვიდა და ეომაგებოდა ეზმიაძინის ტახტს და რომელიც სომხებს თავისს მეფედ უნდოდათ აღეარებინათ.

ახლანდელმა „კულტურულმა“ სომხებმა დაივიწყეს დიადი ღვაწლი სახელოვანის მეფის ერეკლე მეორისა, რომელმაც, ვითარცა მამამ, შეიბრალა იმ დროს ყველგან დევნილნი სომხნი. ხოლო უწინდელი სომხები-კი დიდად აფასებდნენ მეფე ერეკლე მეორის ღვაწლს.

აი რასა სწერდა მეფე ერეკლეს შესახებ ერთი განათლებული სომეხი იაკობ შამიროვი: „ჭეშმარიტად ღირსია ეს მეფე (ერეკლე მეორე) დიდის ქებისა და დიდებისა, ვინაიდგან იგი იცავს თვის ქვეშევრდომთა (და მათ შორის სომხებისასაც) კეთილდღეობას, იგერებს სპარსელებს და ერთის სიტყვით, ქრისტიანე ერისათვის არა ჰზოგავს თვის სიცოცხლეს. ეს ხელმწიფე იმდენად გულ-კეთილი და კაცთ-მოყვარე იყო, რომ თვის მტერსაც-კი არ დასჯიდა ხოლმე და მხოლოდ დააშინებდა, თუმცა ღირსნი-კი იყვნენ დასჯისა. ყოველივე მისი მოქმედება მიმართულ იყო ერის კეთილდღეობისათვის. და ვინაიდგან მე არ ძალ-მიძს ღირსეულად აღწერა ამ მეფის სიკეთისა, ამ ჩემს ნაკლს შევავსებ ჩემის გულითადის პატივის ცემით ამ დიადის მეფისადმიმართ. *)

ამ სიტყვებს სომეხ მწერლისას არავითარი განმარტება არ ესაჭიროება.

***

ამ სიტყვებს შეუდარეთ ახლა ის, რასაცა სწერს თ. გ. თუმანოვის გაზეთის თანამშრომელი ალ. აი თვით ეს სავექილო წერილიც:

ქალაქი უნდა შეუერთდეს იმ სურვილს, რომ ტფილისში დასაარსებლად განზრახული პოლიტეხნიკუმი „ირაკლისად“ იწოდებოდეს, რითიც დაამტკიცებს, რომ იგი საეროვნო ცრუ-მორწმუნეობით არ არის დასნეულებული და შეუძლიან პატივი სცეს იმათს სახელს, ვისაც ამ ქალაქისათვის სისხლი უღვრია. სასურველია, რომ ისინიც, ვისგანაც დამოკიდებულია ამა თუ იმ დაწესებულების სახელის წოდება, მიაქცევდნენ ამ წინადადებას ყურადღებას.

ამ თვალთა ხედვის ისრით თუ გავსინჯეთ, სამწუხაროა, რომ მეფე ერეკლე მეორეს პანაშვიდზედ სიონის ტაძარში ქალაქის ოფიციალური წარმომადგენელნი არ დაესწრნენ. მაგრამ ჩვენის აზრით, ამ შემთხვევას ისეთი ფართო მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს, როგორი მნიშვნელობაც მისცეს ზოგიერთმა ადგილობრივმა გაზეთებმა. განცხადება პანაშვიდის შესახებ მარტო ერთის დღის წინად დაიბეჭდა და საბჭომ ამ მცირე ხანში, ალბად, ვერ მოასწრო შეკრება და საგანგებო კრების დანიშვნა დეპუტაციის ასარჩევად.

ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი სწორედ იმ დროს, როდესაც პანაშვიდი იყო, როგორც გავიგონე, მიწვეული იყო თურმე დასასწრებლად ტფილისის დედათა გიმნაზიის საბჭოში, სადაც იგი სათანადო წევრად ითვლება; გამგეობის დანარჩენმა წევრებმა-კი არ იცოდნენ ეს გარემოება და ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის მიუწვევლად ვერ დაესწრნენ პანაშვიდს. როგორ მოგწონთ ეს კილო! ბ-ნმა ალ-მა ვთქვათ ის იცის, თუ გაიგონა, რომ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს არ ეცალა, ეს ალბად საბჭომ ვერ მოასწრო რაღაა? თუ სხვა საქმეში არ უშლის ხელს ქალაქის წარმომადგენელთ უეჭველი წევრობა და ალბადობა, რაღა ამ ასს წელიწადში ერთად-ერთ პანაშვიდისათვის ვერ მოიცალეს?

ბოლოს ასეთს ტკბილს ჰანგზედ ჰგალობს ალ-ი:

საზოგადოდ ჩვენი მოღვაწეები კარგს იზამდნენ, დაივიწყონ წვრილმანი უსიამოვნება... და მეტი ერთსულობა გამოიჩინონო.

ვის გასაგონად არის ნათქვამი ეს სიტყვები? ამით ვისა სცემენ და ვის ასმენენ? ვთქვათ, ეგ „ალბათ“ და ეგ „გავიგონე“ დავიჯეროთ, თუმცა თუ გული ჰგულობს, ქადა ორივ ხელით იჭმევაო. ორშაბადს, სწორედ პანაშვიდის მეორე დღეს, ქალაქის საბჭო ხომ შეკრებული იყო და რატომ არავის მოაგონდა და ფეხზე წამოდგომით მაინც პატივი არა სცეს ერეკლე მეფის სახელს. არ იკადრეს განა? ეს დავთარში არ უწერიათ და არც იმ თავიანთ კულტურულ ტიბიკონში, რომელსაც მართებულობა ჰქვიან... ეჰ, ვის თავზე ვკითხულობთ სახარებას!... არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი! ამინ და კირიალეისონ!...

*) იხილე მოკლე ისტორია სომხეთისა, შედგენილი ინდოეთში იაკობ შამიროვის მიერ და რუსულად თარგმნილი პოდპორუჩიკის ვარლაამ ვაგანოვის მიერ პეტერბურგი, 1786 წელს, გვერდი 142—144.

## რუსეთი

—

ამ ჟამად გზათა სამინისტროსთან არსებულ საბჭოში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სისხლის სამართალში იქმნენ ხოლმე მიცემულნი ისინი, რომელთაც რკინის გზით სამოგზაურო ბილეთების სყიდვა-გასყიდვა ხელობად გაუხდიათ. აგრეთვე ნება არა ჰქონდეს მოგზაურს რამდენისამე ვერსის გავლის შემდეგ თავისი ბილეთი სხვას გადასცეს მოგზაურობის განსაგრძობად.

— საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებელთა ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელ მასწავლებელთ ნება არა აქვთ მოსწავლენი აიყვანონ და ბინა აუჩინონ თავიანთთანაო.

— საერო განათლების ქვემდებარე სამრეწველო სასწავლებელთა ხეირიან ნიადაგზედ დასაყენებლად და თვალ-ყურის საჭერად სამინისტროს განზრახვა აქვს ოლქის ინსპექტორთა თანამდებობანი დააარსოს.

— 8 იანვარს ქ. პენზაში ახალი საშუალო სამხატვრო სასწავლებელი დაარსდა და სასწავლებლის დირექტორად მხატვარი ბ-ნი სავიცკი იქმნა დანიშნული.

— 1 თებერვლიდგან მთლად რუსეთის იმპერიაში შემოღებულ იქმნება ახალი კრებული გარდასახადთა ქვა-ნახშირის გადატან-გადმოსატანად რუსეთის რკინის გზებზედ.

— ამ ჟამად ქ. მოსკოვში ოცის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლთ მოიყარეს თავი და განზრახვა აქვთ კერძოდ მოილაპარაკონ თავად-აზნაურობის საჭიროებათა შესახებ.

## უცხოეთი

—

საფრანგეთი. როგორც უკანასკნელად მოსული გაზეთები იუწყებიან, ზო-

დას უფრო მეტი თანამგრძნობელი ჰყავს, ვიდრე ეს „რუსეთის სააგენტოს“ დეპეშებიდგანა სჩანს. ამ დეპეშებმა მოიტანეს, მაგალითებრ, ამბავი, რომ მთელის საფრანგეთის სტუდენტებმა ზოლას წინააღმდეგ მანიფესტაცია მოახდინესო, ნამდვილად კი სტუდენტების მეოთხედსაც არ მიუღია მონაწილეობა მანიფესტაციებში. გაზ. „L'Aurore“-ში დაბეჭდილია სტუდენტების წერილი, რომელშიაც ისინი აცხადებენ, რომ ის სტუდენტები, რომელნიც დრეიფუსის საქმის ხელ-მეორედ განხილვის წინააღმდეგ აგიტაციებს ახდენენ, სტუდენტობის ერთს ნაწილს შეადგენენ, ამიტომ იმათი აზრი მთლად სტუდენტების აზრად არ ჩაითვლებაო. დრეიფუსის საქმის ხელ-მეორედ გარჩევას ეხლა თითქმის ყველანი თხოულობენ. ზოლას, რომელმაც მოითხოვა ამ საქმის გარჩევა, ყოველდღე ხუსრებელი დეპეშები მოსდის არამც-თუ მარტო საფრანგეთის სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან, არამედ უცხო სახელმწიფოებიდგანაც. ბელგიის უნივერსიტეტის კორპორაციებმა, მაგალითად, ზოლას დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიაც თანაგრძნობას უცხადებენ. ასეთივე დეპეშა გაუგზავნეს ზოლას ბუდაპეშტიდგან, იტალიიდგან და სხვა ადგილებიდგან.

—

**კრიტი.** გაზ. „Daily Gaphic“ სწერს პარიჟიდგან, საფრანგეთმა და ინგლისმა პირობა დასდეს მოსთხოვონ სახელმწიფოთ, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორად საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე გიორგი იქმნას დანიშნულიო.

—✦✦—

## დამაკვირდი

—

მრავალს დაბრკოლებას ვძლევთ, რომ ბოროტება ჩავიდინოთ; განზრახულ კეთილისაგან კი თვით უმცირესი სიძნელეც-კი ხელს აგვაღებინებს ხოლმე.

ბუასტი

* * *

ადამიანი თავისის სურვილითვე თვალ-ხილული და ბრმა; თავისუფალი და მონა; პატიოსანი და მტარვალი.

* * *

რაც არა აღმოცენების, არც დაითესვის.

იოანნე ბოლნელი

—✦✦—

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ბევრი დაწერილა და თქმულა სხვა და სხვა ჟურნალებში და ჩვენს გაზეთებშიაც მარიხის შესახებ. ეხლა ჟურნალები სწერენ, რომ ამერიკელს მწერალს პერსივალ ლოველს მთელი წიგნი დაუწერია მარიხის შესახებ: ლოველი ამტკიცებს, რომ მარიხის ეკონომიური პირობეები ძლიერა ჰგავს დედამიწისასაო და ამიტომ იმ აზრისაა, რომ მარიხზედ უეჭველად გონიერი სულდგმული სცხოვრობსო. მართალია ამას ვერავინ იტყვის, რომ მარიხის მცხოვრებნი ჩვენა გვგვანდნენ თვისის აგებულობით, მაგრამ ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გარეგანს მგზავსებას! ჯერ ისევ ფლამარიონი ამბობდა. ტყუილად დავკარგავთ დროს იმის გამოკვლევაზედ, თუ როგორი სულდგმული სცხოვრობს მარიხზედ. ყოვლად შეუძლებელია იმის გაგება, ჰგავს თუ არა მარიხის მცხოვრები დედამიწის მცხოვრებს. სულ სხვა საქმეა, იმის შეტყობა, რაოდენად დიდი ღონე უნდა ჰქონდეთ მარიხის მცხოვრებლებს და რამდენად უნდა იყვნენ იგინი განვითარებულნი და გონიერნი. ლოველი ამტკიცებს, მაგალითად, რომ მარიხის მცხოვრებლები ერთი ორმოცდაათად უფრო ღონიერნი უნდა იყვნენ ადამიანზეო. ეხლა ეს ვიკითხოთ, რა საბუთით ამტკიცებს ამას ლოველი. აი რა საბუთით. მარიხი ერთი სამად უფრო პატარაა დედამიწაზედ და მაშასადამე იქ ყოველი ნივთი ერთი სამად უფრო სუბუქი უნდა იყოს, ვიდრე დედამიწაზედ და ამიტომ იქაურს მცხოვრებს ერთი სამად უფრო მეტი ღონე უნდა ჰქონდეთ, ვიდრე დედამიწის მცხოვრებსა. ეს კიდევ ცოტაა: მარიხის მცხოვრებნი ერთი სამად უფრო მაღლები უნდა იყვნენ ჩვენზე. ამგვარად ლოველს გამოუანგარიშებია, რომ მარიხის მცხოვრები ერთი ორმოცდაათად უფრო ღონიერი უნდა იყვეს დედამიწის მცხოვრებზედ. ამასთანავე დამტკიცებულია, რომ მარიხზედ, როგორც დედამიწაზედ, ამინდი იცვლება ხოლმე წლის განმავლობაში; არის ხოლმე გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ მარიხზედ არც წვიმა მოდის ხოლმე და არც თოვლი. მარიხის ფოტოგრაფიულ სურათებიდგანა სჩანს, რომ ამ პლანეტზედ გაჭრილია არხები და არიხს გაჭრას, რა თქმა უნდა, სხვა ვერავინ მოახერხებს, თუ არ გონიერი არსება. ლოველი ამბობს, რომ მარიხზედ დიდი ხანია, რაც წყალი ნაკლებად არის და იქაურმა მცხოვრებმა გადასწყვიტეს არხები გაიყვანონო. ჩვენთან შედარებით ეს საქმე მათთვის უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო, რადგანაც, როგორც წეღან მოგახსენეთ, ჩვენზედ უფრო ღონიერები არიან. ისიც უნდა გავიხსენიოთ, რომ თუ მართლა მარიხზედ გონიერი არსება სცხოვრობს (ან რატომ არ უნდა სცხოვრობდეს, რომ იგი დედამიწისაგან არაფრით განირჩევა?), იქაურ მცხოვრებთა გარემოებანი უეჭველად უკეთ უნდა იყოს მოწყობილი, ვიდრე ჩვენი. მარიხი უფრო მოხუცია დედამიწაზედ. იქ უფრო ადრე უნდა გაჩენილიყო ყოველივე სიცოცხლე მცენარისა, თუ პირუტყვისა და გონიერის არსებისა. ჩვენ ვერც-კი წარმოვიდგენთ, რა ეკონომიური და საზოგადოებრივი პირობები უნდა იყოს მარიხზედ, მაგრამ ეს-კი ეჭვს გარეშეა, რომ იქაური ცხოვრება გაცილებით უკედ უნდა იყოს მოწყობილი, ვიდრე ჩვენი. მაგრამ, ვინ იცის...

—✦✦—

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 იანვარი

**პარიჟი.** პალატა. დარბაზი ხალხითაა სავსე. ყველგან მოძრაობაა, ბაასია გამართული. ბორეგარი უკმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ შაბათს ჯარმაც მიიღო მონაწილეობაო. ბრისსონი ამბობს, იმიტომ ვუბრძანე რამდენისამე ჯარისკაცის მოყვანა, რომ ტრიბუნასთვის ხალხი ჩამოეშორებინათ. ჟორესს წინადადება შეაქვს, განვაგრძოთ შაბათს აღძრული საგანიო. წინადადება შეწყნარებულ იქმნა. ჟორესსი მთავრობას საყვედურს უცხადებს, რომ ზოლა არ იქმნა სამართალში მიცემული იმ ცილის წამებისათვის, რომელიც გენერლებს დასდო მან. მთავრობამ ნება უნდა მისცეს, რომ საქმის ვითარება მალე იქმნას გამორკვეულიო.

**პარიჟი.** პალატა. ჟორესი ამბობს, რომ მთავრობას არ შეუძლიან აღუკრძალოს აფიცერთ ჩვენება მისცენ ზოლას საქმეში. მთავრობამ ნება უნდა დართოს, რომ საქმე გამოირკვეს. ორატორი ჰკითხულობს: სამხედრო სასამართლოს წევრებს ხელში ჰქონდათ თუ არა ისეთი საბუთები, რომლითაც დრეიფუსის დანაშაული მტკიცდებოდა, და გამოეცხადათ თუ არა საბუთის ქაღალდები ბრალდებულს და იმის დამცველს. მელინმა უპასუხა: „ჩვენ არ შეგვიძლიან ამ საქმის შესახებ ტრიბუნაზე მოვილაპარაკოთ“ (ტაშის ცემა). ჟორესი უკმაყოფილებას აცხადებს უფლებისა და წეს-რიგის დარღვევის გამო, მთავრობას სიმხდალის ბრალსა სდებს და იგონებს გერმანიის პროცესს ლეგუის წინააღმდეგ. მიკვირს, რომ შეუძლებელია საფრანგეთში ასე თავისუფლად საქმის წარმოებაო. მე კანონის წინააღმდეგად მიმაჩნია ის გარემოება, რომ ესტერგაზის საქმე საზოგადოების დაუსწრებლად იქმნა გარჩეული. ჟორესსი ამტკიცებს, რომ რესპუბლიკა 16 წელიწადია, რაც დიდ ფინანსისტთა ხელშიაო. ბევრს იმის ბრალსა სდებს, რომ რესპუბლიკა სამხედრო და კლერიკალთა რეაქციას ჩაუგდეთ ხელში, და სიტყვა იმითი დააბოლოვა, რომ სოციალისტები დაიცვენ რესპუბლიკასაო (ზოგიერთი ტაშს უკრავს). მელინი პასუხს არ აძლევს იმიტომ, რომ მთავრობას არა აქვს უფლება მართლ-მსაჯულების ადგილი დაიჭიროსო (ტაშის ცემა). გობლემ ის უსაყვედურა მთავრობას, რომ კავენიაკს პასუხი თავისს დროზედ არ გასცაო. გობლემ სთქვა, რომ კაბინეტს ფორმალურად მაინც არის უნდა გამოეთქვა თავისი დაბეჯითებული რწმენა, რომ დრეიფუსს დამნშავედა სთვლის და ესტერგაზი არ უნდა მიეცა სამართალში, რადგან ის არ არის დამნაშავე. ბოლოს გობლემ განაცხადა, რომ კაბინეტი იმიტომ სდევნის ზოლას, რომ მემარჯვენეთ ასიამოვნოსო. მელინმა უპასუხა, რომ მთავრობას არ შეეძლო დრეიფუსის საქმის გამოაშკარავება, რადგან ამითი დიდად თავხედს დანაშაულს ჩაიდენდაო. (ტაშის ცემა). კამათობა დასრულდა.

რამდენჯერმე შეიტანეს წინადადება, რომ მორიგ საქმეების განხილვას შევუდგეთო. მელინა მიემხრო ბანსელის წინადადებას, რომელსაც მთავრობის განცხადება მოსწონს. ბანსელის წინადადება 376 ხმით წინააღმდეგ 133-სა იქმნა შეწყნარებული (დიდი ტაშის ცემაა). კრება დაიშალა.

14 იანვარი.

**პეტერბურგი.** 12 იანვარს საზამთრო სასახლის დარბაზებში გამართულ იქმნა საგანგებო ბალი, რომელზედაც დაპატიჟებულ იქმნა 3700 ქალი და კაცი. ბალი დაიწყო პოლონურის ცეკვით. პირველი ტური ხელმწიფე იმპერატორმა იცეკვა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულთან; მეორე—ხელმწიფემ ისპანიის ინფანტთან, დედოფალმა ოსმალეთის ელჩთან, მესამე—ხელმწიფემ დიდის ბრიტანიის ელჩის ცოლთან, დედოფალმა—საფრანგეთის ელჩთან. პოლონელის შემდეგ იცეკვეს კადრილი და სხვა. ანტრაქტების დროს დედოფლის წინაშე წარსდგენ ჩინეთისა და იაპონიის ელჩების მეუღლენი. მაზურკის შემდეგ მათნი უდიდებულესობანი და სტუმრები ვახშმად დაბრძანდნენ გერბოვის დარბაზში. შუაგული ადგილი დედოფალმა დაიკავა, დედოფლის მარჯვნივ მხარეს—ოსმალეთის ელჩმა, მარცხნივ—საფრანგეთის ელჩმა. ვახშმის დროს ხელმწიფე დარბაზებში დადიოდა. ღამის სამ საათზედ სტუმრები დაიშალნენ.

**პარიჟი.** ზოლა თავისის საქმის გამო 104 მოწმეს იწვევს; მათ შორის არიან: ბილიო, მერსიე, ბუადერფ, პელიე, გონზი, პიკარი, ანრი, ესტერგაზი, ფორცინეტი, ლებრენ-რენო, კაზიმის პერიე, შარლ დიუპიუ, რიბო, დარლან, გერენ, გიძლე, ჰუინკარე, ლეიგრ, შერერ-კესტნერი, ჟორესი და სხვანი; უცხო სახელმწიფოს კაცთა შორის—რამდენიმე ელჩია.

ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ადმირალი ბომონი დანიშნულ იქმნა ესკადრის უფროსად შორეულ აღმოსავლეთში.

**ალჟირი.** ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

15 იანვარი

**პარიჟი** პალატამ 234 ხმით 208 ხმის წინააღმდეგ, ბილიოს შენიშვნის მიუხედავად, მიიღო ბერრის წინადადება 1870 წლის ომის სახსოვრად მედალის დაარსების შესახებ.

**მოსკოვი.** დიდი მთავრები: ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, ბორის ვლადიმერის ძე, ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორისა და დიდის მთავრინასი ელისაბედ თეოდორეს ასულთან ერთად დაესწრნენ მოსკოვის თავად-აზნაურთა ბალს.

**ტომსკი.** სასო პრეობრაჟენის ოქროს მაღაროებში, 10 იანვარს იპოვნეს ოქრო წონით $74^1/_4$ გირვანქა.

**ბაქო.** შუადღეს აქეთ ცეცხლი უკიდია მურა-ნაგიევის ქარხანას შუა ქალაქში; ცეცხლის ალი მთელ ბაქოს ანათებს. დაიწვა ნავთის ორი აუზი, რომლებშიაც 500,000 ფუთი ნავთი იყო. კაცებიც დაიღუპნენ.

**ლონდონი.** ინგლისის სამხედრო გემმა შეიპყრო ერთი გემი, რომელიც ლონდონიდგან იარაღით და სურსათით დატვირთული ბასრში მიდიოდა.

**ფილიპოპოლი.** დვიაჩკო ბოიჩევს და ნოველიჩს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს; ნიკოლოოზ ბოიჩევი გაამართლეს.

—

## საგარეჯოს სახალხო წიგნთ-საცავის გამგეობის საყურადღებოდ

უმეტესი ნაწილი წევრებისა საგარეჯოს სახალხო წიგნთ-საცავისა დაშორებულნი არიან სოფელ საგარეჯოს და ამიტომ არ შეუძლიანთ თვალ-ყური ადევნონ ზემოხსენებულ წიგნთ-საცავის წარმოებას. ზაფხულობით ზოგიერთებს ცოტას ხნით უხდებათ საგარეჯოში ყოფნა, სულ თვე ნახევარი, ან ორი თვე, და ეს დრო-კი საკმარისი არ არის, რომ რიგიანად შეიტყონ წიგნთ-საცავის ავ-კარგი. ეს გარემოება იმათთვის უფრო საგრძნობელი უნდა იყოს, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით წიგნთ-საცავის დაარსების საქმეში. ამ ჟამად ვერ შეხვდებით სოფ. საგარეჯოში ვერც ერთ წევრს დამფუძნებელს ხსენებულ წიგნთ-საცავისას. ამიტომ საჭიროა ხსენებულ წიგნთ-საცავის გამგეობამ სამ ან ოთხ თვეში ერთხელ ჰბეჭდოს რომელსამე გაზეთში წიგნთ-საცავის ანგარიში. ეს ზნეობრივ მოვალეობასაც შეადგენს გამგეობის წევრებისას იმ წევრთა წინაშე, რომელთაც არწმუნეს იმათ წიგნთ-საცავის წარმოება, და გარეშეთაც ცხადად დაანახვებს, რამდენად წარმატებაში მიდის იგი. ეს ადვილად მოსახერხებელია მით უფრო, რომ წიგნთ-საცავის გამგეობა შესდგება სამი წევრისაგან, მათ ჰყავთ ყოველ შემთხვევისათვის თავიანთ მოადგილე და წევრი-მეწიგნთსაცავე.

სრულიად საკმარისია ანგარიშში მოხსენებული იყოს სამი უმთავრესი მუხლი წიგნთ-საცავის წარმოებისა: 1) მკითხველთა რიცხვი თვიურად წოდებათა გარჩევით, 2) გატანილ წიგნების რიცხვი, ესეც თვიურად და 3) გატანილ წიგნების შინაარსი. ამ სახით შედგენილი ანგარიში თვიურად რიცხვების შედარებით მკითხველთა და გატანილ წიგნთა ნათლად დაანახვებს წევრთაც და საზოგადოებასაც, რამდენად წარმატებაში წასულა ანუ დაქვეითებულა წიგნთ-საცავის წარმოება. უკანასკნელ შემთხვევაში, ე. ი. მკითხველთა და გატანილ წიგნთა რიცხვის შემცირებას, გამგეობა უყურადღებოდ არ დასტოვებს და განმარტავს შენიშვნაში წევრთა და საზოგადოების საყურადღებოდ. რაც შეეხება წიგნთ-საცავის შემოსავალს,—შემოწირულებით იქნება ეს თუ სხვა წყაროებიდგან, გასავალს—წიგნების ყიდვა, ოთახის დაქირავება და სხვა, ახალ წევრთა მიღება,—ეს ყველა შეიძლება მოთავსდეს წლიურ ანგარიშში. ეს ცნობები შეიძლება იბეჭდებოდა კიდეც, მაგრამ ეს მასალა არავითარს საშუალებას არ მისცემს წევრთა და საზოგადოებას გაითვალისწინონ წიგნთ-საცავის მდგომარეობა. ჩვენ მიერ აღნიშნულის წესით ანგარიშის შედგენა კი ყველას ნათლად დაანახვებს, რამდენად ასრულებს წიგნთ-საცავი თავისს უპირველესს დანიშნულებას, ე. ი. რამდენად სარგებლობს გლეხობა. ამას უჩვენებს ის მუხლი, სადაც მოხსენებული იქმნება მკითხველთა რიცხვი წოდებათა გარჩევით. თვიურად შედარება გლეხთა წოდების რიცხვისა, გაათვალისწინებს თვით გამგეობის წევრთა მოღვაწეობას, მათ მეცადინეობას გლეხთა შორის სასარგებლო წიგნების გავრცელებისას და მკითხველთა გამრავლებას.

იმედია წიგნთ-საცავის გამგეობა ამას უყურადღებოდ არ დასტოვებს და შეძლებისადაგვარად მიაწვდის წიგნთ-საცავის წარმოების ანგარიშს, როგორც დაშორებულ წევრთ, ისე საზოგადოებასაც. ეს საშუალება გამგეობას წევრების საყვედურსაც ააცდენს.

დაშორებული ყულდუაშვილი

—✦✦—

## წერილი რედაქციის მიმართ

—

განსვენებულ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელობაზედ დაარსებულ სტიპენდიის ფონდის შედგენისათვის დაწესებული კომიტეტი დიდს მადლობას უძღვნის ფოტოგრაფს ბ-ნს ალექსანდრე მიხაილოვს, რომელმაც კომიტეტს დაუთმო ეპისკოპოსის სურათების ფასიდგან ორმოც-და-თხუთმეტი მანეთი. სულ დაამზადა მან 500 ცალი სურათი და უნდა მიეღო 375 მანეთი, იგი-კი კომიტეტს 320 მანეთს დასჯერდა.

კომიტეტის წევრი—საქმის მწარმოებელი
ბლაღ. მღ. ნ. ყუბანეიშვილი

—✦✦—


## განცხადებანი

საკონკურსო მმართველობისაგან

საკონკურსო მმართველობა, რომელიც დაარსებულ იქმნა გაკოტრებულ მოვალის იასონ სოფრომის ძის იოსელიანის საქმეებისა გამო, ამითი აცხადებს, რომ 9 აპრილს, 1898 წ., დილის 10 საათზედ, ბათუმის მომრიგებელ-მოსამართლის სადგომში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება იოსელიანის მამულების 30 [illegible]. გასასყიდი მიწა გაწმენდილია ჯაგნარისა და ტყისაგან, დაყოფილია ნაწილებად და ცალკ-ცალკე გეგმაშიაც არის აღნიშნული. ვაჭრობა დაიწყება ორის მანეთიდგან ერთ ოთხ-კუთხ საჟენზედ. დაწვრილებითი პირობათა შეტყობა და გეგმის ნახვა შეიძლება: 1, ბათუმში, ა. ა. ცატუროვის მამულების მოურავთან; 2, ტფილისში კურატორ ნაფიც ვექილ ი. ს. ტერ-სტეფანოვთან და 3, ბაქოში კურატორი კერძო ვექილს პ. მ. ლებეთან.დინსკის (3—207—3)




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.